სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

რექტორის #87-19 ბრძანებით; 22.07.2019

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია:

რექტორის #41-20 ბრძანებით; 01.04.2020

რექტორის #57-21 ბრძანებით; 06.04.2021

რექტორის #104-21 ბრძანებით; 31.05.21

რექტორის #121-21 ბრძანებით; 16.07.21

რექტორის #185-22 ბრძანებით; 27.09.22

რექტორის #45-23 ბრძანებით; 27.02.23

რექტორის #52-24 ბრძანებით; 02.04.24

რექტორის #61-24 ბრძანებით; 24.04.24

რექტორის #176-24 ბრძანებით; 23.12.24

რექტორის #50-25 ბრძანებით; 15.04.25

პროექტი

სასწავლო პროცესის დებულება

თბილისი

2026

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები 5

1. ტერმინთა განმარტება 5
2. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური 6
3. აკადემიური კალენდარი 6
4. აბიტურიენტის/სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება 6

თავი II. სტუდენტის სტატუსის მოპოვება და მართვა 6

5. სტუდენტის სტატუსის მოპოვება 6
6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია 9
7. ხელშეკრულების დადება 12
8. დაშვების სისტემა 13
9. სტუდენტებთან კომუნიკაცია 13
10. მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობა 14
11. ინგლისური ენის კომპეტენციები 14
12. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა 16
13. ამოღებულია (27.09.2022) 16

თავი III. სასწავლო პროცესი 16

14. სწავლის ხანგრძლივობა და სასწავლო დროის განაწილება 16
15. სწავლების ენა და სასწავლო ჯგუფები 18
16. საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის ლექტორისა და გარემოს შეფასება 19
17. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება 19
18. კონსულტაციები 20
19. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა 21

თავი IV. სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა/აღდგენა 21

20. სტუდენტის სტატუსის შეჩერება 21
21. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა 23
22. სტუდენტის სტატუსის აღდგენა 25

თავი V. მობილობა, მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარება 26

24. მობილობა 26
25. მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარება 30

თავი VI. სტუდენტის ცოდნის შეფასება 31

26. შეფასების სისტემა და ფორმა 31
27. შეფასების სისტემა და ორგანიზება 32
28. გამოცდის/პერიოდული გამოკითხვის ჩატარებისას სტუდენტის ქცევის წესი 33
29. გამოცდაზე გამოუცხადებლობა/გამოტოვებული გამოცდის აღდგენა 36
30. დამატებითი გამოცდა 36
31. გამოცდის/პერიოდული გამოკითხვის შედეგების გასაჩივრება 37
32. საგნის განმეორებით/დამატებით გავლის პროცესი 38
33. აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი - GPA 38
თავი VII. საწარმოო პრაქტიკა, საბაკალავრო /სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომის/პროექტის დაცვა და შეფასება 39
34. საწარმოო პრაქტიკა 39
35. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი 40
36. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი 41
38. პლაგიატი 41
39. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) გაცემა 42
40. დასკვნითი დებულებები 43
41. გარდამავალი დებულებები 43

თავი I. ზოგადი დებულებები

სასწავლო პროცესის დებულება (შემდგომში „დებულება“) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საერთაშორისო სტანდარტების, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წესდებისა და დებულების საფუძველზე. დებულება აწესრიგებს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული დებულებაში და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას, მათ შორის, ვებ-გვერდის მეშვეობით. უნივერსიტეტის სტუდენტები და დასაქმებული პირები ვალდებულნი არიან რეგულარულად გაეცნონ ამ ინფორმაციას და შეასრულონ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები და წესები. წესების არცოდნა არ ათავისუფლებს მათ, მათი შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

1. ტერმინთა განმარტება

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **დიპლომი** - უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) **დიპლომის დანართი** – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან ერთად გასცემს უნივერსიტეტი სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსისა და მისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად;

გ) **კრედიტი** - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

დ) **ლექცია** - სასწავლო კურსით გათვალისწინებული მასალის ახსნა და ინტერპრეტირება;

ე) **პერსონალური მონაცემი** - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება (სახელი, პირადი ნომერი, ფიზიკური მახასიათებელი და სხვ.);

ვ) **რანჟირების დოკუმენტი** - იმ პირთა სახელობითი სია, რომლებმაც მოიპოვეს უნივერსიტეტში სწავლის უფლება;

ზ) **სემინარი** - ახსნილი მასალის გამოკითხვისა და განხილვის ელემენტების ერთობლიობა;

თ) **სილაბუსი** - დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსით გათვალისწინებულ ყველა საკითხთან დაკავშირებით.

2. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური

უნივერსიტეტი, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს.

3. აკადემიური კალენდარი

3.1. უნივერსიტეტში როგორც წესი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე რექტორის ბრძანებით დგინდება აკადემიური კალენდარი, რომელშიც მითითებულია საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრის ხანგრძლივობა, აუდიტორული მეცადინეობებისა და გამოცდების თარიღები.

3.2. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით.

4. აბიტურიენტის/სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება

უნივერსიტეტი ახორციელებს აბიტურიენტის/სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტში მოქმედი „მონაცემთა დაცვის პოლიტიკისა“ და სხვა შესაბამისი შიდასაუნივერსიტეტო აქტების შესაბამისად.

თავი II. სტუდენტის სტატუსის მოპოვება და მართვა

5. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

5.1 უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) აბიტურიენტის ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება და აბიტურიენტთა რანჟირების შესაბამისი დოკუმენტი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

5.2 ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელ პირს.

5.3 უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) პირის ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია, კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შიდა მისაღები გამოცდის/გამოცდების ჩაბარება (საჭიროების შემთხვევაში მიმღებ დარგობრივ კომისიასთან გასაუბრების გავლა). მისაღები შიდა გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და შედეგების გასაჩივრებაზე ვრცელდება საერთო წესი, ხოლო ვადა ან/და განსხვავებული პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

5.4 უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) პირის ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია მიმღებ დარგობრივ კომისიასთან გასაუბრების გავლა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილება (საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის მიერ

დადგენილი გამოცდის ჩაბარება), რომელიც განსაზღვრულია დოქტორანტურის დებულებით.

5.5 აბიტურიენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად რექტორის აქტით დადგენილ ვადებში უნივერსიტეტში გაიაროს პირველადი ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია.

5.6 ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა დასაშვებია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.7 ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

5.7.1 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით;

5.7.2 საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

შენიშვნა: სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი უცხო ქვეყანაში სწავლის ვალდებულება არ ვრცელდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების გარდამავალი დებულებებით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებზე.

5.7.3 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

5.7.4 საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში არანაკლებ 75 დღის ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში და მიღებული აქვთ კრედიტი/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (გარდა დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული).

შენიშვნა: საქართველოს მოქალაქეებისთვის განსაზღვრული მოთხოვნა უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში 75 დღით უცხო ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებით, არ ვრცელდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების გარდამავალი დებულებებით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებზე.

5.8 საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

5.8.1 მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

5.8.2 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

5.8.3 საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში არანაკლებ 75 დღისა ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში და მიღებული აქვთ კრედიტი/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში (გარდა დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული);

შენიშვნა: საქართველოს მოქალაქეებისთვის განსაზღვრული მოთხოვნა, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში 75 დღით უცხო ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებით, არ ვრცელდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების გარდამავალი დებულებებით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებზე.

5.8.4 მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ 5.7 პუნქტის შესაბამისად;

5.8.5 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5.9 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატებს მისცეს წერილობითი თანხმობა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (სახელის, გვარის, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებისა და კოდის მითითებით), ასევე ინფორმაცია პირის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურების შესახებ.

5.10 ამ მუხლის 5.9 პუნქტით გათვალისწინებული უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირი ვალდებულია შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას წარუდგინოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი, საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ფლობის შესაბამის დონეს, ან ჩააბაროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაში, ხოლო ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში იგი ვალდებულია ჩააბაროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო ენის გამოცდა.

6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

6.1 ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს დადგენილი წესითა და ოდენობით სწავლის საფასურის ან სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სტუდენტთა დაფინანსების პროგრამასა/ გრანტსა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სწავლის საფასურს შორის არსებული სხვაობის (თუ სტუდენტი ისწავლის სრული ან ნაწილობრივი თანადაფინანსებით) გადახდას.

6.2 აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სასწავლო კურსებზე სტუდენტის რეგისტრაციას ამ დებულების შესაბამისად.

6.3 პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენას, დადგენილი სწავლის საფასურის გადახდასა და განათლების მომსახურების ხელშეკრულების დადებას.

6.4 პირველადი აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. აბიტურიენტთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები. მაგისტრანტობის/დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

6.5 უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციისას უნივერსიტეტში წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტები:

6.5.1 სარეგისტრაციო განცხადება/სპეციალური ფორმა (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს), სარეგისტრაციო განცხადება არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში შეივსება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ;

6.5.2 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის, ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში - პასპორტის) ასლი დედნის წარმოდგენის პირობით (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში-პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);

6.5.3 ერთი ნაბეჭდი ფოტოსურათი ზომით 3X4 და ელექტრონული ვერსია (CD/DVD დისკზე);

6.5.4 სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედნის წარმოდგენის პირობით (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირების შემთხვევაში);

6.5.5 კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის დამადასტურებელი დოკუმენტის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტის) ასლი დედნის წარმოდგენის პირობით;

6.5.6 სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სტუდენტი ისწავლის სრული/ნაწილობრივი თვითდაფინანსებით).

6.6 ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, აბიტურიენტი უნივერსიტეტთან დებს განათლების მომსახურების ხელშეკრულებას. თუ აბიტურიენტი არასრულწლოვანია, მასთან ერთად ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი.

6.7 პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, გამოიცემა „სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ რექტორის ერთიანი აქტი არა უგვიანეს შესაბამისი სასწავლო წლის პირველი ოქტომბრისა და იგზავნება სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში.

6.8 აბიტურიენტი, რომელმაც მოიპოვა უნივერსიტეტში სწავლის უფლება, მაგრამ ვერ მოხვდა ამ მუხლის 6.7 პუნქტით გათვალისწინებულ რექტორის ერთიან აქტში, ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში დაწესებულებისათვის მიუმართაობის გამო, უფლებამოსილია უნივერსიტეტში ჩარიცხვის მოთხოვნით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის სექტემბრამდე. უნივერსიტეტის რექტორი ვალდებულია დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის გათვალისწინებით, დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება სამინისტროში გამოცემიდან 15 დღის ვადაში.

6.9 უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციისას, უნივერსიტეტში წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტები:

6.9.1 სარეგისტრაციო განცხადება/სპეციალური ფორმა (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს);

6.9.2 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის) ასლი დედნის წარმოდგენის პირობით (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში-პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);

6.9.3 ერთი ნაბეჭდი ფოტოსურათი 3X4 და ელექტრონული ვერსია (CD/DVD დისკზე);

6.9.4 სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედნის წარმოდგენის პირობით (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირების შემთხვევაში);

6.9.5 ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომისა და დიპლომის დანართის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კვალიფიკაციასთან გათანაბრების დამადასტურებელი დოკუმენტის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი დედნის წარმოდგენის პირობით. მაგისტრატურის კანდიდატისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოების გამო ბაკალავრის დიპლომის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში წარსადგენია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული (უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) ცნობა (დედანი) ბაკალავრიატის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის შესახებ იმ პირობით, რომ მაგისტრანტობის კანდიდატი ჩარიცხვის სემესტრის დასრულებამდე უნივერსიტეტში წარმოადგენს დიპლომსა და დიპლომის დანართს აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული წესით.

6.9.6 სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სტუდენტი ისწავლის სრული/ნაწილობრივი თვითდაფინანსებით).

6.10 ამ მუხლის 6.9. პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

6.11 ამ მუხლის 6.9. პუნქტის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ იდება განათლების მომსახურების ხელშეკრულება უნივერსიტეტსა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის და გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, რომელშიც მითითებულია მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. რექტორის ბრძანება სამაგისტრო გამოცდის წლის 5 ოქტომბრამდე კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

6.12 უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციისას წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით.

6.13 ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებმა/მაგისტრანტობის კანდიდატებმა, პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციისას უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

6.13.1 სარეგისტრაციო განცხადება/სპეციალური ფორმა (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს), სარეგისტრაციო განცხადება არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში შეივსება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ;

6.13.2 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის) ასლი დედნის წარმოდგენის პირობით (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში-

პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);

6.13.3 ერთი ნაბეჭდი ფოტოსურათი 3X4 და ელექტრონული ვერსია (CD/DVD დისკზე);

6.13.4 სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედნის წარმოდგენის პირობით (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირების შემთხვევაში);

6.13.5 კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტის) ასლი დედნის წარმოდგენის პირობით/ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის და დიპლომის დანართის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კვალიფიკაციასთან გათანაბრების დამადასტურებელი დოკუმენტის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი დედნის წარმოდგენის პირობით.

6.13.6 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ;

6.13.7 სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სტუდენტი ისწავლის სრული/ნაწილობრივი თვითდაფინანსებით);

6.13.8 უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

6.14 რექტორი ვალდებულია სტუდენტობის კანდიდატი ერთი წლის ვადაში ჩარიცხოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. ჩარიცხვის ბრძანება აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

6.15 პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულების შემდეგ სტუდენტი გადის აკადემიურ რეგისტრაციას, რომელიც მოიცავს სტუდენტის სასწავლო კურსზე რეგისტრაციის პროცედურებს.

7. ხელშეკრულების დადება

7.1 უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობა განათლების მომსახურების ხელშეკრულების დადების გზით. განათლების მომსახურების ხელშეკრულება თითოეული პროგრამის ფარგლებში იდება ერთჯერადად.

7.2 განათლების მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე სტუდენტი უკვეთს უნივერსიტეტს განათლების სფეროში მომსახურებას, ხოლო უნივერსიტეტი ხელშეკრულებით შეთანხმებული საფასურის გადახდის საფუძველზე უწევს სტუდენტს განათლების მომსახურებას.

7.3 სტუდენტის სწავლის საფასური და გადახდის გრაფიკი გაწერილია განათლების მომსახურების ხელშეკრულებაში და უცვლელია საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის დადგენილ ვადაში სწავლის განმავლობაში.

7.4 თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს სასწავლო, ან სხვა დოკუმენტურად დადასტურებული გრანტი/დაფინანსება, სტუდენტის მიერ უშუალოდ გადასახდელი თანხა გამოითვლება სწავლის საფასურიდან გრანტის/დაფინანსების შესაბამისი თანხის გამოკლებით.

7.5 სტუდენტი, როგორც წესი სწავლის საფასურს იხდის სემესტრულად. ყოველ შემდეგ სემესტრში სწავლის გასაგრძელებლად, სტუდენტი ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია (გადაიხადოს სწავლის საფასური). განსხვავებული შემთხვევები რეგულირდება სტუდენტთან დადებული მომსახურების ხელშეკრულებით ან/და „ინგლისურენოვან პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რეგისტრაციის პროცედურებით“.

7.6 სწავლის საფასურის დადგენილი წესით გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლოა შეეზღუდოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაზე წვდომა ან/და შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი.

8. დაშვების სისტემა

8.1 უნივერსიტეტში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით მოქმედებს დაშვების სისტემა. სტუდენტს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შესვლის უფლება აქვს დაშვების ბარათის გამოყენებით.

8.2 უნივერსიტეტი თითოეულ სტუდენტს დროებით სარგებლობაში გადასცემს დაშვების ბარათებს. დაშვების ბარათი უნივერსიტეტის საკუთრებაა. სტუდენტი ვალდებულია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისთანავე დაშვების ბარათი დაუბრუნოს უნივერსიტეტს. დაშვების ბარათის გადაცემა დასტურდება სტუდენტის მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით.

8.3 დაშვების ბარათის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ ადმინისტრაციას. ახალი ბარათის დამზადებას სტუდენტი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯით.

8.4 სტუდენტს ეკრძალება დაშვების ბარათის სხვა პირისათვის გადაცემა ან/და უცხო პირის უნივერსიტეტის შენობაში შესაღწევად გამოყენება.

8.5 სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს დაშვების ბარათი.

8.6 სტუდენტის მიერ დაშვების სისტემით სარგებლობის წესების დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

9. სტუდენტებთან კომუნიკაცია

უნივერსიტეტი სტუდენტებთან კომუნიკაციისას იყენებს შემდეგ საშუალებებს: უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი (www.sabauni.edu.ge), სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, ელექტრონული ფოსტა. ამ საშუალებებით სტუდენტისთვის მიწოდებული ინფორმაცია გაცნობილად მიიჩნევა და სამართლებრივი ძალის მატარებელია.

10. მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობა

10.1 უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი და სასწავლო პროცესის წარმართვისთვის ყველა აუცილებელი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

10.2 ბიბლიოთეკაში დაცულია უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი - თანამედროვე ქართული და უცხოური სამეცნიერო სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, საინფორმაციო მასალები და სხვა, რომლებიც განკუთვნილია სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტებისათვის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის. ბიბლიოთეკის ფონდი მოიცავს როგორც ბეჭდვით გამოცემებს, ასევე ელექტრონულ რესურსებს.

10.3 უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა, ტერიტორია, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები, ინვენტარი და ტექნიკური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური ფასეულობანი, ფინანსური სახსრები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და სხვ. განკუთვნილია სასწავლო, კვლევითი, შემეცნებითი, შემოქმედებითი თუ სხვა საქმიანობისათვის.

10.4 მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით დანიშნულებისამებრ სარგებლობა შეუზღუდავად შეუძლიათ უნივერსიტეტის სტუდენტებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს.

10.5 დაუშვებელია სტუდენტის/უნივერსიტეტის პერსონალის მიერ სხვა სტუდენტის/უნივერსიტეტის პერსონალისთვის უნივერსიტეტის შენობით, ბიბლიოთეკის ფონდებით და უნივერსიტეტის სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი პირი მათ იყენებს კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის.

11. ინგლისური ენის კომპეტენციები

11.1 ინგლისური ენის კომპეტენციები საბაკალავრო პროგრამაზე

11.1.1 საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის სავალდებულოა ზოგადი ინგლისური ენის B2 დონეზე დასრულება, რაც პროგრამაში შეესაბამება კურსს „ინგლისური ენა B2.2/ B2“.

11.1.2 საბაკალავრო პროგრამების მიხედვით, შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის შესაძლოა სავალდებულო იყოს სასწავლო კურსის პროფესიული ინგლისური ენის B2 დონეზე გავლა.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს სწავლის პერიოდში არაუგვიანეს სემესტრის დაწყებამდე ტესტირების საშუალებით გადააბაროს ინგლისური ენის დონე უცხო ენების ცენტრის ხელმძღვანელთან წინასწარ შეთანხმებით. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი აჩვენებს მაღალ დონეს, უღიარდება შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი დონე CEFR-ის სტანდარტის გათვალისწინებით.

11.1.3 ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენის მიზნით საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის სავალდებულოა შიდა ინსტიტუციური ტესტი (დონის

განმსაზღვრელი ტესტი), რომელთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო პროგრამით.

11.2 საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში ჩარიცხვისას წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს, რომლითაც სტუდენტს უდასტურდება ინგლისური ენის B2 ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნა (მაგალითად: FCE, IELTS, TOEFL PBT, CBT, TOEFL IBT, VERSANT, CERTUS, PEARSON, შესაბამისი შეფასებებით), გათავისუფლდებიან უნივერსიტეტში ზოგადი ინგლისური ენის სწავლების ვალდებულებისგან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერტიფიკატი უნდა იყოს მოქმედი განაცხადის გაკეთების დროს, ხოლო აპლიკანტმა უნდა შეძლოს მისი წარდგენა. ვადაგასული დოკუმენტები არ განიხილება.

11.3 ინგლისური ენის კომპეტენციები სამაგისტრო პროგრამაზე

11.3.1 სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე (გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით).

11.3.2 მაგისტრანტობის მსურველმა პირმა უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა და ინგლისური ენის გამოცდაში უნდა დააგროვოს მინიმუმ 50%+1.

11.4 მაგისტრანტობის მსურველი პირი თავისუფლდება ინგლისური ენის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდისგან იმ შემთხვევაში, თუ უცხოეთში აქვს განათლება მიღებული შესაბამის ენაზე ან თუ წარმოადგენს ინგლისური ენის B2 ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ შემდეგ სერტიფიკატებს: FCE, IELTS, TOEFL, PBT, CBT, TOEFL, IBT, VERSANT, CERTUS. PEARSON ან სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სხვა სერტიფიკატს შესაბამისი შეფასებებით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერტიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება).

11.5 ინგლისური ენის კომპონენტები ინგლისურენოვან პროგრამაზე

11.5.1 კანდიდატისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე.

11.5.1.1 კანდიდატმა უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა და ინგლისური ენის ტესტში დააგროვოს მინიმუმ 61%.

11.5.1.2 კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდიდან თუ წარმოადგენს ინგლისური ენის B2 ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ შემდეგ სერტიფიკატებს: FCE, IELTS, TOEFL, PBT, TOEFL, CBT, TOEFL, IBT, VERSANT, CERTUS. PEARSON ან სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სხვა სერტიფიკატს შესაბამისი შეფასებებით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერტიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

11.6 სადოქტორო პროგრამაზე უცხო ენის კომპეტენციები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით.

12. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა

უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებში. მონაწილეობის მიღებისა და შერჩევის პროცედურებს არეგულირებს „ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები“.

13. ამოღებულია (27.09.2022)

თავი III. სასწავლო პროცესი

14. სწავლის ხანგრძლივობა და სასწავლო დროის განაწილება

14.1 სწავლის ხანგრძლივობა საფეხურებისა და ჩარიცხვის წლის მიხედვით შეადგენს:

14.1.1. 2025 წლამდე ჩარიცხულ პირთათვის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 8 სემესტრს, რომლის მოცულობა არანაკლებ 240 კრედიტია, ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 4 სემესტრს, რომლის მოცულობა არანაკლებ 120 კრედიტია.

14.1.2. 2025 წელს და მას შემდგომ ჩარიცხული სტუდენტების შემთხვევაში საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 6 სემესტრს, რომლის მოცულობა არანაკლებ 180 კრედიტია.

14.1.3. 2026 წელს და მას შემდგომ ჩარიცხული სტუდენტების შემთხვევაში: სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა შეადგენდეს 4 სემესტრს, რომლის მოცულობა არანაკლებ 120 კრედიტია ან 2 სემესტრს (გარდა ფსიქოლოგიის მიმართულების სამაგისტრო პროგრამებისა), რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს.

14.1.4. არანაკლებ 120-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის პირველ ნაწილზე სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხული პირი, რომელიც დაასრულებს აღნიშნულ ნაწილს, უფლებამოსილია სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე გააგრძელოს სწავლა იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 120-კრედიტიანი იმავე სამაგისტრო

შენიშვნა: საგანმანათლებლო პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის მეორე ნაწილზე, იმ შემთხვევაში, თუ პირველი ნაწილზე ჩარიცხვიდან არ არის გასული 5 წელი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, არანაკლებ 120-კრედიტიანი იმავე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის მეორე ნაწილზე ჩარიცხვისთვის, პირი ვალდებულია ჩააბაროს სამაგისტრო გამოცდა. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არანაკლებ 120-კრედიტიან იმავე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის მეორე ნაწილზე ჩარიცხვისთვის პირი, რომელმაც დაასრულა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების არანაკლებ 120-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის პირველი ნაწილი, ვალდებულია ჩააბაროს სამაგისტრო გამოცდა.

14.1.5. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 6 და არაუმეტეს 10 სემესტრს, რომლის სასწავლო კომპონენტი შეიძლება

შეადგენდეს 45-60 კრედიტს (სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი არ იანგარიშება კრედიტებით).

14.2 ერთი აკადემიური წელი 2 სემესტრიანია და შეადგენს 32 კვირას. თითოეული სემესტრი, როგორც წესი მოიცავს 16 კვირას. ამათგან: - 13 სალექციო კვირა, 2 დასკვნითი გამოცდის კვირა და ერთი დამატებითი დასკვნითი გამოცდის კვირა. დამატებით დასკვნითი გამოცდები უნდა დაინიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა დადგინდეს განსხვავებული კვირები.

14.3 ერთი კრედიტი უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში. ერთი აკადემიური საათი უდრის ერთ ასტრონომიულ საათს. ერთი აკადემიური საათი მოიცავს: 50 წუთი სააუდიტორიო დრო + 10 წუთი შესვენება.

14.4 კრედიტის გაანგარიშებისას არ უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

14.5 კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

14.6 აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტის დატვირთვა შეადგენს საშუალოდ 60 კრედიტს. სემესტრში სტუდენტის დატვირთვა საშუალოდ შეადგენს 30 კრედიტს. სტუდენტის წლიური დატვირთვა შესაძლოა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

14.7 საბაკალავრო პროგრამაზე დაუშვებელია არასრული დატვირთვით სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელება, გარდა იმ შემთხვევისა თუ უნივერსიტეტი ვერ სთავაზობს სტუდენტს შესაბამისი ოდენობის კრედიტებს და სტუდენტის ინტერესებს ექმნება საფრთხე ან როდესაც სტუდენტი დამატებით სემესტრშია და სწავლის დასრულებისთვის საჭირო მინიმალური კრედიტების მოსაგროვებლად სჭირდება სტანდარტულ სემესტრულ 30 კრედიტზე ნაკლები კრედიტის გავლა.

14.8 მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლა-სწავლების პროცესი შეიძლება განხორციელდეს არასრული დატვირთვით, რაც ნიშნავს სტუდენტის დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა. არასრული დატვირთვისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 კრედიტს.

14.9 სასწავლო კურსის ხელმძღვანელი, სასწავლო კურს წარმართავს სხვადასხვა ფორმატით, მათ შორის: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვა.

14.10 სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო კურსი შეიძლება ითვალისწინებდეს დისტანციურ სწავლებას „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მათ შორის “Zoom”-ის, “Google Meet”-ის ან სხვა შესაბამისი ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმების გამოყენებით, რაც აისახება სასწავლო კურსის სილაბუსში.

14.11 დისტანციური სწავლების დაგეგმვას, ორგანიზებასა და განხორციელების ტექნიკურ უზრუნველყოფას უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის

მართვის სამსახური და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური მათი კომპეტენციის ფარგლებში, მათ შორის პლატფორმების პროგრამულ გამართულობას, ტექნიკურ მხარდაჭერასა და საჭირო პროგრამული ლიცენზიების მართვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.12 სტუდენტის დატვირთვის კომპონენტების შერჩევა ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან და უმაღლესი განათლების საფეხურიდან გამომდინარე.

14.13 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების პროცესი და მასთან დაკავშირებული პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით.

15. სწავლების ენა და სასწავლო ჯგუფები

15.1 უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული. დასაშვებია უცხოურ ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტების შეთავაზება. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია სამინისტროსთან.

15.2 სასწავლო ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 20-ს. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკის (მათ შორის ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა თუ სხვა) გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მიერ შეიძლება განისაზღვროს ჯგუფში სტუდენტთა განსხვავებული დასაშვები მაქსიმალური/მინიმალური რაოდენობა (ინფორმაცია წინასწარ იქნება ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის). ამ რაოდენობის შევსების შემდეგ, უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეწყვიტოს სტუდენტთა რეგისტრაცია კონკრეტულ სასწავლო კურსზე ან გააგრძელოს რეგისტრაცია ახალ ჯგუფზე, ჯგუფის დადგენილი წესებით გახსნის პირობით. როგორც წესი, სასწავლო ჯგუფში ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტების მინიმალური რაოდენობა არ უნდა იყოს 10-ზე ნაკლები, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე სტუდენტების მინიმალური რაოდენობა არ უნდა იყოს 5-ზე ნაკლები. როგორც წესი, თუ სტუდენტთა რაოდენობა ნაკლებია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ მინიმალურ რაოდენობებზე, სასწავლო კურსის შესწავლა გადავადდება მომდევნო სემესტრ(ებ)ისთვის.

15.3 სასწავლო ჯგუფის/საგნის შეცვლა დასაშვებია სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში. სტუდენტი უფლებამოსილია, ჯგუფის/საგნის შეცვლის მოთხოვნით განცხადებით მიმართოს ფაკულტეტს. სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს საპატიო მიზეზი, თუ რის გამო ითხოვს ჯგუფის შეცვლას და არსებობის შემთხვევაში დაურთოს შესაბამისი ცნობა.

15.4 სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი განცხადების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში განიხილავს მას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ვალდებულია დასაბუთებული გადაწყვეტილება აცნობოს სტუდენტს.

16. საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის ლექტორისა და გარემოს შეფასება

16.1 უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რაც გულისხმობს სტუდენტის მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის ლექტორის, სასწავლო გარემოსა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებას.

16.2 შეფასების ფორმები საჭიროების მიხედვით ელექტრონული სახით ყოველი სემესტრის ან/და წლის ბოლოს იგზავნება სტუდენტებთან.

16.3 შედეგებს აანალიზებს უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, სადაც გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გათვალისწინებით დგება სამოქმედო გეგმა.

17. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება

17.1 საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების წინასწარ ინფორმირებას აღნიშნულის შესახებ.

17.2 უნივერსიტეტმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მოდიფიცირების გზით განათლების ერთი და იმავე საფეხურისა და მომიჯნავე მიმართულების/სპეციალობის/სპეციალიზაციის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანების შესახებ. გაერთიანებული (მოდიფიცირებული) საგანმანათლებლო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტების მიერ უკვე მიღებული კრედიტების აღიარების შესაძლებლობას.

17.3 შესაცვლელი/გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს: სწავლა გააგრძელოს უნივერსიტეტში განათლების იმავე საფეხურის ანალოგიურ ან მომიჯნავე მიმართულების/სპეციალობის/სპეციალიზაციის ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე (უნივერსიტეტში ასეთი პროგრამის არსებობის შემთხვევაში), სწავლა განაგრძოს შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამით ან აირჩიოს მისთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ისარგებლოს მობილობის უფლებით დადგენილი წესით.

17.4 უნივერსიტეტი, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს გაუწევს კონსულტაციას თუ უნივერსიტეტის რომელი პროგრამით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მიღებული კრედიტების მაქსიმალური რაოდენობით აღიარება.

17.5 სწავლის გაგრძელების შემთხვევაში უნივერსიტეტი შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სტუდენტისათვის უზრუნველყოფს შესაბამისობების განსაზღვრას გაუქმებული/შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესწავლილი სასწავლო კურსებსა და უნივერსიტეტის ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს შორის. უნივერსიტეტმა შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება სწავლის გაგრძელების მიზნით სტუდენტებისათვის (მათი თანხმობის შემთხვევაში) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს იმ კვალიფიკაციის მინიჭებას, რაც სტუდენტს მიენიჭება იმ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელზეც განხორციელდა სტუდენტის ჩარიცხვა.

17.6 საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, თუკი მისი თავსებადი პროგრამა უნივერსიტეტში არ ხორციელდება, ამის შესახებ წინასწარ ეცნობება შესაცვლელი ან გასაუქმებელი პროგრამის სტუდენტებს და მიეცემათ მიმდინარე სასწავლო წლის/სემესტრის დასრულების შესაძლებლობა. ამ პერიოდში უნივერსიტეტი შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შესწავლილი საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შეთანხმების დადებას იმ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელშიც შესაძლებელია შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება.

18. კონსულტაციები

18.1 სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს კონსულტაციით სალექციო საათებისგან დამოუკიდებლად. საკონსულტაციო ცხრილის შედგენა ხორციელდება სასწავლო სემესტრის დაწყების წინ, სასწავლო ცხრილის შედგენის პარალელურად.

18.2 კონსულტაციები იმართება სემესტრის განმავლობაში საკონსულტაციო ცხრილის მიხედვით კვირაში მინიმუმ ერთი საათი ან საჭიროებისამებრ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აღნიშნული ცხრილი განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

18.3 სტუდენტი იღებს სათანადო კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

18.4 დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისთვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ.

18.5 აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები.

18.6 სამაგისტრო თემის/სამაგისტრო პროექტის ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს მაგისტრატურის სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და პროცედურები განისაზღვრება „სამაგისტრო პროექტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესისა“ და „სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულების და შეფასების წესის“ შესაბამისად.

18.7 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და კონსულტაციებთან დაკავშირებული პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის „დოქტორანტურის დებულებით“.

18.8 პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი; სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა.

19. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

19.1 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის განსხვავებული სასწავლო კურსის, კურსებისა და გრაფიკის ერთობლიობა, სასწავლო კურსის ან განსხვავებული კურსების ერთობლიობა, რომელიც განესაზღვრება სტუდენტს მისი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

19.2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება განისაზღვროს ისეთ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი ვერ ახერხებს სწავლა გააგრძელოს საერთო სასწავლო გეგმით და საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას.

19.3 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს შემდეგი კატეგორიის სტუდენტების მიმართ:

19.3.1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის;

19.3.2 ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხული სტუდენტებისთვის;

19.3.3 გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის;

19.3.4 გარე/შიდა მობილობის საფუძველზე ჩარიცხული/გადაყვანილი სტუდენტებისათვის;

19.3.5 სასპორტო და სახელოვნებო საქმიანობით დაკავებული სტუდენტებისათვის;

19.3.6 სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისათვის;

19.3.7 ამ დებულების 17.5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში;

19.3.8 სხვა ობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევაში.

19.4 სემესტრის დასაწყისში, ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მსურველი სტუდენტი განცხადებით მიმართავს პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანს. განცხადებაში უნდა იყოს დასაბუთებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება, რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

19.5 ფაკულტეტის დეკანი განიხილავს მიღებულ განცხადებას ხარისხის მართვის სამსახურთან (საჭიროების შემთხვევაში, ასევე ფინანსურ ან/და სასწავლო პროცესის სამსახურთან) კონსულტაციით და იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების თაობაზე.

19.6 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შეიცავდეს სასწავლო კურსის/კურსების სახელწოდებას, კრედიტების მოცულობას, სწავლების სემესტრს, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო ინდივიდუალურ მექანიზმებს.

19.7 სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აისახება სტუდენტთა ელექტრონულ ბაზაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ.

19.8 დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით.

თავი IV. სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა/აღდგენა

20. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

20.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

20.1.1 პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

20.1.2 ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა/სრულად გაუვლელობა;

20.1.3 სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

20.1.4 სტუდენტის ფინანსური დავალიანება/ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობა;

20.1.5 სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა;

20.1.6 უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

20.1.7 ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;

20.1.8 ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

20.1.9 საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლა (რეაკრედიტაციის პროცესის მიმდინარეობის შემთხვევაში);

20.1.10 ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) თუ სასწავლო კურსის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში მაინც არ მიიღო შეფასება აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში;

ბ) თუ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დასაგროვებელი მაქსიმალური კრედიტების ერთ მესამედზე მეტს ვერ დააგროვებს.

20.1.11 კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

20.2 სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე უნივერსიტეტისა და სტუდენტის ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით გათავისუფლებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

20.3 სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში არ ხდება მიმდინარე სემესტრის პროგრამის კომპონენტებში მიღებული შუალედური შეფასებების ქულების შენახვა და ისინი არ იქნება გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში (გარდა იმავე სემესტრში სტატუსის აღდგენის შემთხვევისა);

20.4 სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა ჯამში 5 წელი. სტუდენტის სტატუსის შეჩერების ჯამური 5 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

შენიშვნა: სტატუსის შეჩერების ჯამური 5-წლიანი ვადის ათვლა დაიწყოს 2024 წლის პირველი მარტიდან.

20.5 სტუდენტს, რომელსაც უნივერსიტეტმა შეუჩერა სტუდენტის სტატუსი, სტატუსის შეჩერებამდე გადახდილი/გადასახდელი სწავლის საფასური არ დაუბრუნდება.

20.6 სტუდენტს, 20.1.1 პუნქტით განსაზღვრული წესით სტატუსის შეჩერების შემთხვევაში ენახება მის მიერ გადახდილი სწავლის საფასური, თუ სტატუსის შეჩერების შესახებ სტუდენტმა ადმინისტრაციას მიმართა არაუგვიანეს სწავლის

დაწყებიდან 2 კვირისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს გადახდილი საფასურის დაბრუნების მოთხოვნის და/ან მისი შემდეგ სასწავლო წელს/სემესტრში გამოყენების უფლებას, ხოლო თუკი სტუდენტს ამ პერიოდამდე რაიმე საგამონაკლისო მიზეზით არ აქვს გადახდილი სწავლის შესაბამისი გადასახადი - ეკისრება მისი გადახდის ვალდებულება. ამ წესით სტატუსშეჩერებული სტუდენტის მიერ სწავლის შეწყვეტის შემთხვევაში (მათ შორის პირადი განცხადების საფუძველზე და სხვა) მის მიერ სწავლის საფასურის დაბრუნების საკითხი გადაწყდება 21.9 პუნქტით განსაზღვრული წესითა და ვადების მიხედვით. დასაბრუნებელი სწავლის საფასურის გამოთვლის მიზნებისთვის, სწავლის შეწყვეტად ამ შემთხვევაში ჩაითვლება სტუდენტის სტატუსის შეჩერებაზე ადმინისტრაციისთვის წერილობითი მიმართვის თარიღი.

20.7 სტუდენტს, რომელსაც სტატუსი შეუჩერდა დავალიანების გამო, უფლება აქვს გამოიყენოს გადახდილი თანხა თუ მისი აღდგენა მოხდება იმავე სემესტრში დადგენილი წესით.

20.8 სტუდენტმა (თუ სტუდენტი არასრულწლოვანია - კანონიერმა წარმომადგენელმა) დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე/საჯარო დაცვისათვის ნაშრომის დადგენილი წესით ჩაბარებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს განცხადებით სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, რაც არ ათავისუფლებს მას მიმდინარე სემესტრის ფინანსური ვალდებულებების შესრულებისგან. სტუდენტის განცხადების და თანდართული დოკუმენტების განხილვის საფუძველზე მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება.

21. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსი შეწყვეტის საფუძველია:

21.1 სტუდენტის პირადი (თუ სტუდენტი არასრულწლოვანია - მისი კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება სტატუსის შეწყვეტის შესახებ;

21.2 სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან ჯამურად 5 წლიანი ვადის გასვლა;

21.3 სტუდენტის მიერ ერთი და იმავე სასწავლო კურსის ვერ დაძლევა (კურსზე რეგისტრაცია და კრედიტის ვერ მიღება) ბაკალავრიატის საფეხურზე - 4-ჯერ, ხოლო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე - 2-ჯერ;

21.4 სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა;

21.5 საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულება;

21.6 სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენა (სტუდენტის ქცევის წესებით გათვალისწინებული დისციპლინური ნორმების დარღვევა, რომლებიც იწვევენ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას);

21.7 პირის გარდაცვალება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

21.8 დოქტორანტურის სტუდენტს გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა სტატუსი შეიძლება შეუწყდეს:

21.8.1 პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;

21.8.2 სასწავლო ან კვლევითი გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში;

21.8.3 სამეცნიერო ხელმძღვანელის ან სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელის შუამდგომლობით, თუ მას მიაჩნია, რომ დოქტორანტი, დოქტორანტურის

დებულებით დადგენილ პერიოდში, ვერ შეძლებს სწავლისა და კვლევის პროცესის დასრულებას.

21.8.4 ერთი და იმავე სასწავლო კურსის ორჯერ მოსმენისა და კრედიტების ვერ მიღების შემთხვევაში.

21.8.5 იმ შემთხვევაში, თუ ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირს შეუწყდა საქართველოში ყოფნის ვადა ან/და მის მიმართ მიღებულ იქნა საქართველოდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილება - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია უცხო ქვეყნის მოქალაქეს/მოქალაქეობის არმქონე პირს სტუდენტის სტატუსი შეუწყვიტოს.

21.9 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტას;

21.10 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ფინანსური შედეგები:

ა) სასწავლო სემესტრზე რეგისტრაციიდან სწავლის დაწყებამდე პერიოდში სტუდენტის მიერ სწავლის შეწყვეტის შემთხვევაში უნივერსიტეტი სტუდენტს დაუქვითავს/გადაახდევინებს პირგასამტეხლოს სწავლის სემესტრული საფასურის 1/3 ოდენობით;

ბ) სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 კალენდარული კვირის ვადაში სტუდენტის მიერ სწავლის შეწყვეტის შემთხვევაში უნივერსიტეტი სტუდენტს დაუქვითავს/გადაახდევინებს პირგასამტეხლოს სწავლის სემესტრული საფასურის 1/2 ოდენობით;

გ) სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 კალენდარული კვირის გასვლის შემდეგ სტუდენტის მიერ სწავლის შეწყვეტის შემთხვევაში კარგავს გადახდილი საფასურის დაბრუნების მოთხოვნის და/ან მისი შემდეგ სასწავლო წელს/სემესტრში გამოყენების უფლებას, ხოლო თუკი სტუდენტს ამ პერიოდამდე არ აქვს გადახდილი სწავლის შესაბამისი (პროპორციული) გადასახადი - ეკისრება მისი გადახდის ვალდებულება;

დ) სტუდენტს, რომელსაც უნივერსიტეტი სტატუსს შეუწყვეტს სტუდენტთა ქცევის წესების დარღვევის გამო გადახდილი სწავლის გადასახადი არ უბრუნდებათ, ხოლო თუკი სტუდენტს ამ პერიოდამდე არ აქვს გადახდილი სწავლის შესაბამისი (პროპორციული) გადასახადი - ეკისრება მისი გადახდის ვალდებულება.

21.11 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება რექტორის ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ, დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და მას შეუძლია ისარგებლოს მობილობის უფლებით. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

21.12 სტუდენტს, რომელსაც სურს სტატუსის შეწყვეტა, ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს წერილობითი განცხადებით სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

21.13 დოქტორანტისათვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობის აღძვრის საკითხები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით.

21.14 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

22. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

22.1 სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება მხოლოდ სტატუსშეჩერებული სტუდენტის შემთხვევაში. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერებიდან არაუმეტეს ჯამურად 5 წლის გასვლამდე.

22.2 ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტატუსის აღდგენისთვის აუცილებელია ხელშეკრულების პირობების დარღვევის აღმოფხვრა. ფინანსური დავალიანების/ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის აღდგენის წინაპირობაა არსებული ფინანსური დავალიანების დაფარვა/ფინანსური ვალდებულებების შესრულება.

22.3 სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით (გარდა ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირებისა).

22.4 სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სემესტრის დაწყებამდე, მაგრამ არაუგვიანეს სემესტრის დაწყებიდან 2 (ორი) კვირისა. სტატუსის აღდგენის მიზნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს.

22.5 სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სტუდენტთან ურთიერთობა გრძელდება მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. სტუდენტი გადის ადმინისტრაციულ და აკადემიურ რეგისტრაციას და სწავლას აგრძელებს შესაბამისი სემესტრის სასწავლო გეგმით.

22.6 უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში პირისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხს უნივერსიტეტი არ განიხილავს მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი შედეგი დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ.

22.7 სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

23. უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე სტუდენტთა სასწავლო პროცესის მონიტორინგი და ანგარიშგება

23.1 უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვების, ჩარიცხვის, სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის, მობილობის, სასწავლო წლის მიხედვით დაგროვებული კრედიტების რაოდენობისა და სწავლის დასრულების შესახებ მონაცემები და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) აისახება კანონით დადგენილ ვადაში (ბრძანების გამოცემიდან 3 დღის ვადაში).

23.2 უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებიდან 90 კალენდარული დღის გასვლის, სტატუსის შეწყვეტის ან სწავლის დასრულების შესახებ ინფორმაციას სასწავლო პროცესის სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით (წერილობით ან შესაბამისი ელექტრონული პროგრამის მეშვეობით) აცნობებს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

23.3 სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ყოველი სასწავლო წლის ბოლოს უზრუნველყოფს უცხოელი სტუდენტების მიერ დაგროვებული კრედიტების შემოწმებას. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ვერ დააგროვებს ამ პერიოდის განმავლობაში დასაგროვებელი მაქსიმალური კრედიტების ერთ მესამედზე მეტს, აღნიშნულის შესახებ კანონით დადგენილი წესით ეცნობება სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

თავი V. მობილობა, მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარება

24. მობილობა

24.1 უნივერსიტეტში მობილობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

24.2 მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

24.3 გარე მობილობის უფლებით სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. შიდა მობილობის უფლებით სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურზე სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

24.4 გარე მობილობაში ჩართვის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩაირიცხა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი ან შეჩერებული ან შეწყვეტილი (შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში) აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი. შიდა მობილობაში ჩართვის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც არის სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აქტიური ან სტატუსშეჩერებული სტუდენტი. მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა/გადაყვანა სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის საფუძველია.

24.5 მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში 2-ჯერ მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

24.6 რიგგარეშე მობილობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

24.7 გარე მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:

24.7.1 ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისათვის, რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარეს 2020 წელს და შემდგომ;

24.7.2 საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

24.8 ამ წესის 23.7 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარეს 2020 წლამდე, ასევე იმ სტუდენტებზე, რომელთაც არ ჩაუბარებიათ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

24.9 ამ დებულების 23.7.1 პუნქტის მიზნებისთვის უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიმართოს სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს და მასთან შეთანხმებული ფორმით, გამოითხოვოს ინფორმაცია შიდა მობილობის უფლების მქონე პირთა მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის თაობაზე შესაბამის საგანში/საგნებში, ქულის მითითებით. სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს მოთხოვნილი ინფორმაციის დაწესებულებისათვის გონივრულ ვადაში წარდგენას.

24.10 იმ პირთა ერთიანი სია, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე და დააკმაყოფილეს შესაბამისი მოთხოვნები, ქვეყნდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე, რის შემდეგაც მობილობის მსურველი უფლებამოსილია უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში მიმართოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე და გაიაროს პირველადი რეგისტრაცია, რაც გულისხმობს სარეგისტრაციო განაცხადის შევსებასა და სავალდებულო დოკუმენტების წარმოდგენას. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

24.11 წარმოსადგენი დოკუმენტები:

24.11.1 სარეგისტრაციო განაცხადი (ივსება ადგილზე);

24.11.2 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა) ასლი დედნის წარმოდგენის პირობით (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);

24.11.3 ერთი ნაბეჭდი ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);

24.11.4 სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედნის წარმოდგენის პირობით (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა). დედანი უნდა წარმოადგინოს ჩარიცხვის შემდეგ;

24.11.5 ბაკალავრების შემთხვევაში სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტის) ასლი, ხოლო დედანი უნდა წარმოადგინოს ჩარიცხვის შემდეგ;

24.11.6 მაგისტრატურის შემთხვევაში ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის და დიპლომის დანართის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კვალიფიკაციასთან გათანაბრების

დამადასტურებელი დოკუმენტი) ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ხოლო ჩარიცხვის შემდეგ უნდა წარმოადგინოს აღნიშნული დოკუმენტების დედანი.

24.11.7 გამომშვები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული (ბეჭდით დამოწმებული) - ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ. ამონაწერი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან (არსებობის შემთხვევაში, სტატუსის შეწყვეტის ბრძანების შემთხვევაში - აუცილებელია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის მითითება).

24.11.8 ამონაწერი სასწავლო ბარათიდან შესწავლილი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების, შესაბამისი კრედიტებისა და მიღებული შეფასებების მითითებით. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირებს, ზემოაღნიშნული განსაზღვრული დოკუმენტაციის გარდა, კრედიტების აღიარების პროცესში, დამატებით შეიძლება მოეთხოვოს ცალკეული გავლილი სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) წარმოდგენა.

24.11.9 უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული (ბეჭდით დამოწმებული) - სტუდენტის პირადი საქმე (პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია); მობილობის შედეგად სტატუსის შეწყვეტის ბრძანებიდან ამონაწერი.

24.11.10 სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შენახვისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. სტუდენტის პირადი მონაცემები კონფიდენციალურია. სტუდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს უნივერსიტეტს ან ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში პირადობის მოწმობის, მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის ნომრის ან წარმოდგენილ საბუთებში სხვა მითითებული ინფორმაციის ცვლილება.

24.11.11 უნივერსიტეტი უფლებამოსილია განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მათ შორის, ჩაატაროს შიდა გამოცდები და სხვა). უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებული და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების შესაბამისობას (თავსებადობას) უნივერსიტეტში მოქმედი „სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსების) აღიარების“ წესის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას კრედიტების აღიარებაზე უარის თქმის ან კრედიტების აღიარების შესახებ და განსაზღვრავს თუ რომელი სემესტრიდან იქნება შესაძლებელი სწავლის გაგრძელება აღიარებული კრედიტების, მისაღები კრედიტების და შესასწავლი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების წინაპირობების გათვალისწინებით. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება მობილობის მსურველს. მიღებული გადაწყვეტილება და სტუდენტის თანხმობა არის სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების პროექტში სტუდენტის ასახვის წინაპირობა. უნივერსიტეტი შემუშავებულ ბრძანების პროექტს სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, წარუდგენს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ უნივერსიტეტში გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ. რექტორის აქტი გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის და 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. აქტი გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტებთან იდება განათლების მომსახურების ხელშეკრულება.

24.11.12 უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ გამოიცემა ბრძანება სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, მართვის სისტემას წარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის და 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრებში.

24.11.13 მობილობის მსურველი, რომელთან დაკავშირებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს ბრძანება სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენის გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ვერ ჩაირიცხება უნივერსიტეტში, თუ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამომწვევი მიზეზი შეუთავსებელია მიმღები უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებთან.

24.11.14 თუ უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთან განცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ უნივერსიტეტის მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს. თუ ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია ორი ან მეტი სტუდენტი, უნივერსიტეტი ჩარიცხავს მათ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამ შემთხვევაში, დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება დაწესებულებისათვის მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

24.11.15 დაწესებულება უფლებამოსილია ჩაატაროს შიდა გამოცდა/გასაუბრება მათ შორის, მაშინაც თუ უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთან განცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია. დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ უნივერსიტეტის მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომლებიც შიდა გამოცდაზე მიიღებენ უფრო მაღალ შეფასებას. თუ ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია ორი ან მეტი სტუდენტი, უნივერსიტეტი ჩარიცხავს მათ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამ შემთხვევაში, დამატებული

ადგილების რაოდენობა გამოაკლდება დაწესებულებისათვის მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

24.11.16 სადოქტორო პროგრამაზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მობილობის კანდიდატი ვალდებულია დააკმაყოფილოს იგივე პირობები, რაც დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველისთვისაა დადგენილი. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით.

24.11.17 უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს გადავიდეს უნივერსიტეტის ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე - განახორციელოს შიდა მობილობა. შიდა მობილობა შეიძლება გამოცხადდეს წელიწადში 2-ჯერ. უნივერსიტეტში მისი ვადები, როგორც წესი ემთხვევა გარე მობილობის ვადებს.

24.11.18 შიდა მობილობის განხორციელებისათვის, უნივერსიტეტის სტუდენტი შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს მიმართავს წერილობითი განცხადებით. განცხადებას თან უნდა ახლდეს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) ასლი დედნის წარმოდგენის პირობით (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათი;

განცხადების საფუძველზე ხდება სტუდენტის მიერ შესწავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენა მის მიერ არჩეულ საგანმანათლებლო პროგრამასთან იმავე წესით, როგორც ეს ხდება გარე მობილობის შემთხვევაში.

24.11.19 საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის და კრედიტების აღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისა და სტუდენტის თანხმობის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია მის მიერ არჩეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად.

24.11.20 უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოაცხადოს რიგგარეშე მობილობა, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის/აკრედიტაციის გაუქმების/უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმების შემთხვევაში. რიგგარეშე მობილობის პროცედურები ყოველ ჯერზე გათვალისწინებული იქნება რექტორის აქტით.

25. მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარება

25.1 უნივერსიტეტი აღიარებს საქართველოში მოქმედ ყველა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებულ აკადემიურ ხარისხსა და კვალიფიკაციას.

25.2 კრედიტების მინიჭებისა და აღიარების წესი მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

თავი VI. სტუდენტის ცოდნის შეფასება

26. შეფასების სისტემა და ფორმა

26.1 სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზანია რაოდენობრივი მაჩვენებლით (ქულებით) განსაზღვროს სტუდენტის მიღწევების დონე და მათი შესაბამისობა პროგრამის კომპონენტის დაგეგმილ სწავლის შედეგებთან (მითითებულია სილაბუსში).

26.2 შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტი ინფორმირებული უნდა იყოს სწავლის შედეგების მიღწევის, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ და უნდა ჰქონდეს მათი განხილვის შესაძლებლობა.

26.3 უნივერსიტეტში მოქმედებს ერთიანი, 100 ქულიანი შეფასება, რომელიც, როგორც წესი, მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

26.4 სტუდენტის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი სისტემა:

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	
ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები და კომპონენტები	
შეფასების ფორმები და კომპონენტები	**მაქსიმალური ქულა**
შუალედური შეფასება:	**70 ქულა**
1.1	
1.2	
1.3	
დასკვნითი შეფასება	**30 ქულა**
დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა	30
სულ	**100 ქულა**
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.	

26.5 შეფასების სისტემაში ძირითადად გამოიყენება ერთიანი მიდგომა, მაგრამ სასწავლო კურსის ხელმძღვანელმა შესაძლოა გამოიყენოს შეფასების განსხვავებული, კონკრეტული პროგრამით და სილაბუსით განსაზღვრული სისტემა.

26.6 სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება ამ მუხლით დადგენილი შეფასების სისტემა. ამისგან განსხვავებული შეფასების სისტემა, ასევე სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა და წესი განისაზღვრება დოქტორანტურის დებულებით.

27. შეფასების სისტემა და ორგანიზება

27.1 პერიოდული გამოკითხვა

27.1.1 პერიოდული გამოკითხვა წინა სალექციო დღეებში გავლილი მასალის ცოდნის დონის პერიოდული შემოწმების საშუალებაა. იგი შესაძლოა ჩატარდეს სხვადასხვა მეთოდით - დახურული/ღია კითხვის შევსება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსია, პრეზენტაცია, კაზუსის ამოხსნა და სხვა.

27.1.2 სტუდენტის მიერ დოკუმენტურად დადასტურებული საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით შეუძლებელს ხდის სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობას) გაცდენილი პერიოდული/ყოველკვირეული გამოკითხვებიდან აღდგენას შესაძლოა დაექვემდებაროს მხოლოდ სამი. სამზე მეტი სემინარის აღდგენა ხდება ფაკულტეტის დეკანის/სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით. ასეთ შემთხვევაში საპატიო მიზეზით გაცდენილი პერიოდული/ყოველკვირეული გამოკითხვის აღდგენის მოთხოვნით, სტუდენტმა მე-12 კვირის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე.

27.2 გამოცდა

27.2.1 გამოცდა სტუდენტის ცოდნის შეფასების ერთ-ერთ საშუალებაა. გამოცდამ უნდა აჩვენოს, თუ რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა შესაბამისი სასწავლო კურსი. გამოცდა ტარდება წინამდებარე წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული შეფასების კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენებით.

27.2.2 ცალკეული სასწავლო კურსისათვის გამოცდის შეფასების კომპონენტები და შინაარსი დგინდება სასწავლო კურსის სილაბუსით. სასწავლო კურსის განმახორციელებელი თავად განსაზღვრავს გამოცდაზე იქნება თუ არა რაიმე სახის სასწავლო მასალა ან დამხმარე საშუალებები ნებადართული და თუ იქნება განსაზღვრავს მის სახეობებსაც.

27.2.3 სასწავლო კურსის განმახორციელებელი შესაბამისი საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე წარადგენს საგამოცდო საკითხებს ჯგუფების/ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით (რამდენიმე ვარიანტის ელ.ვერსიას) და იმ დამხმარე მასალის ჩამონათვალს, რომელთა გამოყენება გამოცდაზე იქნება ნებადართული. საგამოცდო საკითხების/ტესტების შინაარსობრივი სისწორე და ტექნიკური გამართულობა არის კურსის განმახორციელებლის პასუხისმგებლობის სფერო. ლექტორის მიერ გამოცდის

თავად ორგანიზების შემთხვევაში, საგამოცდო საკითხებს ელექტრონულ ბაზაში ტვირთავს ლექტორი გამოცდის დაწყებამდე 1 კვირით ადრე.

27.2.4 საგამოცდო საკითხები მოწმდება შესაბამისი ფაკულტეტის/უცხო ენების ცენტრის/სადოქტორო სკოლის მიერ და გამოცდების დაწყებამდე 3 კვირით ადრე გადაეცემა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს გასამრავლებლად. გამოცდაზე დასაშვებია მხოლოდ წინასწარ შედგენილი საგამოცდო საკითხების გამოყენება.

27.2.5 საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე 1 კვირით ადრე დგება გამოცდების ცხრილი თარიღებისა და დროის მითითებით სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ.

27.2.6 გამოცდის პროცესზე მონიტორინგს ახორციელებენ სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ან/და სხვა უფლებამოსილი პირი.

27.2.7 გამოცდის ზეპირ კომპონენტს (ზეპირ გამოცდას) იბარებს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ან/და ფაკულტეტის/უცხო ენების ცენტრის/სადოქტორო სკოლის მიერ განსაზღვრული სათანადო კვალიფიკაციის მქონე უფლებამოსილი პირი.

27.2.8 გამოცდის დასრულების შემდეგ, სასწავლო კურსის ხელმძღვანელს საგამოცდო ნაშრომები გადაეცემა გასასწორებლად. სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ვალდებულია არაუგვიანეს ნაშრომების გადაცემიდან/გადასაცემად გამზადებიდან 3 კალენდარული დღისა, ელექტრონულ სისტემაში ასახოს შეფასებები და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში დააბრუნოს გასწორებული ნაშრომები.

27.2.9 შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მტკიცდება სილაბუსით.

27.2.10 დაუშვებელია კრედიტების მინიჭება მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი) შეფასების გამოყენებით (გარდა სამაგისტრო ნაშრომისა/პროექტისა).

27.2.11 სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგების შეფასებისათვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

27.2.12 შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში) საბოლოო შეფასებაში.

27.2.13 შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

27.2.14 თუ სტუდენტის მიღწევებს ერთდროულად აფასებს რამდენიმე პირი, მაშინ შეფასების ქულა უდრის ამ პირთა მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს.

28. გამოცდის/პერიოდული გამოკითხვის ჩატარებისას სტუდენტის ქცევის წესი

28.1 სტუდენტი გამოცდაზე უნდა გამოცხადდეს საგამოცდოდ განკუთვნილი დროის დაწყებამდე 20 წუთით ადრე და დაიკავოს ადგილი მისთვის მინიჭებული რიგითი ნომრის მიხედვით. სტუდენტმა უნდა იქონიოს პირადობის ან ნებისმიერი სხვა

საიდენტიფიკაციო მოწმობა (პასპორტი/მართვის მოწმობა). საიდენტიფიკაციო დოკუმენტი სტუდენტს მთელი გამოცდის მანძილზე განთავსებული უნდა ჰქონდეს მაგიდაზე.

28.2 დაგვიანებით გამოცხადებული სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება.

28.3 გამოცდის მიმდინარეობისას აკრძალულია:

28.3.1 გამოცდაზე აკრძალული ნივთების (სასწავლო მასალის/სახელმძღვანელოს, მობილური ტელეფონის, ნოუთბუქის, ყურსასმენების და სხვადასხვა ხელსაწყოების, ნებისმიერი სახის ჩანაწერების და ა.შ.) შეტანა ან/და გამოყენების მცდელობა. სტუდენტმა ტელეფონი გათიშულ მდგომარეობაში უნდა დატოვოს საგამოცდო აუდიტორიაში წინასწარ განსაზღვრულ განცალკევებულ ადგილას;

28.3.2 აკრძალულია ელექტრონული მოწყობილობის (ტელეფონი, საათი და სხვ.) გამოყენება კალკულატორის ნაცვლად;

28.3.3 დაწყებული გამოცდის უნებართვოდ მიტოვება, უნებართვოდ ადგილის შეცვლა, აუდიტორიაში გადაადგილება;

28.3.4 საგამოცდო ფურცლის განზრახ დაზიანება (მათ შორის, რაიმე სახის მინაწერის/წარწერის ან გრაფიკული გამოსახულების დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალების შესრულებასთან);

28.3.5 გამოცდის ჩაშლის მცდელობა;

28.3.6 გამოცდაზე წესრიგის დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა (გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, რაიმე ფორმით დახმარების გაწევა ან/და მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა ან სხვა);

28.3.7 დამკვირვებლის გაფრთხილების მიუხედავად წესრიგის დარღვევად მიჩნეული ქმედების (გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, რაიმე ფორმით დახმარების გაწევა ან/და მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა ან სხვა) ჩადენა;

28.3.8 გამოცდაზე იკრძალება ნებისმიერი ტიპის დამხმარე მასალის გამოყენება: ნებისმიერ სახის მატარებელზე (ქაღალდი, ადამიანის სხეულის ნაწილი, პლასტმასი, ელექტრონული და ა.შ) დაწერილი, ამოტვიფრული, თუ ჩაწერილი საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია. ასევე ნებისმიერი სახის ფურცელი, თუ იგი დარიგებული არ არის საგამოცდო დავალებასთან ერთად ან არ აქვს შესაბამისი აღნიშვნა;

28.3.9 ხმამაღლა შეკითხვის დასმა. შეკითხვის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტმა ხელის აწევით უნდა ანიშნოს და დაელოდოს დამკვირვებელს.

28.4 გამოცდაზე დასაშვებია მხოლოდ პირადი მოხმარების და ჰიგიენის (წყალი, წამლები, ხელსახოცები, საწერი კალამი და სხვა) ნივთებისა და სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული ნებადართული (სტუდენტისთვის წინასწარ ცნობილი) სასწავლო მასალის შემოტანა, რომლებიც უნდა განთავსდეს საგამოცდო მაგიდის ზედაპირზე.

28.5 გამოცდაზე აკრძალული ნივთების შემოტანის/გამოყენების მცდელობის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია ნებაყოფლობით/დამკვირვებლის მოთხოვნით დატოვოს ეს ნივთები მითითებულ განცალკევებულ ადგილას/ჩააბაროს ნივთი დამკვირვებელს. დაუმორჩილებლობა მიიჩნევა გამოცდაზე წესრიგის დარღვევად.

28.6 დავალების პასუხის გადასწორებისას, გადასწორებული პასუხი ჩაითვლება მხოლოდ დამკვირვებლის ხელმოწერის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ბეჭდით დამოწმების შემთხვევაში.

28.7 გამოცდის/პერიოდული გამოკითხვის ჩატარებისას სტუდენტის მიერ წესრიგის ან სტუდენტთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი წესი:

28.7.1 ამ დებულების 27.3.6 და 27.3.9 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შემთხვევაში სტუდენტს მიეცემა გაფრთხილება. განმეორებით იგივე ქმედების ჩადენის ან უფლებამოსილი პირის მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში სტუდენტს არ ექნება გამოცდის/საჯარო დაცვის დასრულების უფლება. ყველა სხვა შემთხვევაში, პირველივე ჯერზე (გაფრთხილების გარეშე) სტუდენტს არ ექნება გამოცდის/საჯარო დაცვის დასრულების უფლება;

28.7.2 საგამოცდო ფურცლის განზრახ დაზიანების, მათ შორის საგამოცდო ფურცელზე რაიმე სახის მინაწერების ან/და გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, ნახატი და ა.შ) დატანის შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან, არ შეფასდება საგამოცდო ნაშრომი.

28.7.3 ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტის საგამოცდო ნაშრომი შეფასდება 0 ქულით. სტუდენტს არ აქვს დამატებით გამოცდაზე/საჯარო დაცვაზე გასვლის უფლება და სასწავლო კურსში/პროგრამის კომპონენტში ფიქსირდება შეფასება F (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტს აქვს გადაბარებაზე გამსვლელი ქულა).

28.7.4 უნივერსიტეტის სტუდენტთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტზე სტუდენტის მიმართ ასევე შესაძლებელია დაიწყოს დისციპლინური წარმოება (დარღვევის ხარისხის შესაბამისად).

28.8 ნებისმიერი საფუძვლით გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ დამკვირვებელი და სტუდენტი. სტუდენტის მიერ ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში ოქმზე კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. გამოცდის მსვლელობიდან გამომდინარე, დამკვირვებელს უფლება აქვს ოქმი შეადგინოს გამოცდის დასრულების შემდეგ.

28.9 გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია დამკვირვებლის მითითებისთანავე დატოვოს აუდიტორია. წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვირვებელი უფლებამოსილია დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის ან პოლიციის საშუალებით დაატოვებინოს სტუდენტს საგამოცდო სივრცე. დამკვირვებლის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა უნივერსიტეტში დადგენილი ქცევის წესების დარღვევაა და გამოიწვევს უნივერსიტეტის სტუდენტთა ქცევის კოდექსითა და კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ შედეგს.

28.10 საგამოცდო საკითხებზე მუშაობის დასრულების შემდეგ, სტუდენტი ვალდებულია ნაშრომი ჩააბაროს დამკვირვებელს. ნაშრომი, რომელზეც არ იქნება მითითებული სტუდენტის სახელი და გვარი, არ შეფასდება. საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ ჩაბარებული ნაშრომი არ შეფასდება.

29. გამოცდაზე გამოუცხადებლობა/გამოტოვებული გამოცდის აღდგენა

29.1 გამოცდაზე საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით შეუძლებელს ხდის გამოცდაზე გამოცხადებას) გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია გამოცდაზე გასვლა შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ამისთვის დადგენილ ვადაში და წესით. განსხვავებულ ვადაში გამოცდის დანიშვნაზე უარის თქმის ან დადგენილ დროს გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გამოცდაში ფიქსირდება 0 ქულა გამოუცხადებლობის მიზეზის მიუხედავად.

29.2 გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს გამოცდის დღის დასრულებამდე) წერილობით უნდა ეცნობოს ადმინისტრაციას სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. სტუდენტს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი შეუძლია წარმოადგინოს მოგვიანებით, მაგრამ არაუგვიანეს გამოცდის აღდგენის დღის წინა დღისა. ამ ვადის გაშვების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას უარი უთხრას სტუდენტს გამოცდის აღდგენის ორგანიზებაზე.

29.3 დასკვნით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერგადალახვის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ სტუდენტს უგროვდება როგორც წესი 41 ქულა (შესაძლებელია სილაბუსით განსაზღვრული იყოს ძირითად და დამატებით გამოცდაზე გამსვლელი უფრო მაღალი ქულა, საგნის სპეციიკიდან გამომდინარე) და მეტი, მას არ სჭირდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის განცხადებით მიმართვა, იგი ავტომატურად ერთჯერადად დაშვებული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის დამატებით დასკვნით გამოცდაზე.

29.4 დასკვნით გამოცდაზე და საჯარო დაცვაზე დაგვიანების ან დასკვნითი გამოცდის/საჯარო დაცვის არასაპატიო მიზეზით მიტოვების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს გამოცდაზე/საჯაროდ დაცვაზე შესვლის ან გამოცდის/საჯარო დაცვის დასრულების უფლებას და სტუდენტი ფასდება 0 ქულით.

29.5 გამოცდაზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გამოცდის მიტოვების შემთხვევაში სტუდენტი შეძლებს გამოცდაზე გასვლას ამისთვის განსაზღვრულ ვადაში და წესით.

29.6 აღდგენილ გამოცდაზე სტუდენტის გამოუცხადებლობა ართმევს მას უფლებას მოითხოვოს გამოცდის ხელახალი ორგანიზება გამოუცხადებლობის მიზეზის მიუხედავად და სტუდენტი ფასდება 0 ქულით.

29.7 სტუდენტი, რომელმაც აღადგინა დასკვნითი გამოცდა, დამატებით გამოცდაზე გადის საერთო წესით.

30. დამატებითი გამოცდა

30.1 საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია დანიშნოს დამატებითი გამოცდა. დამატებით გამოცდაზე გასვლა უფასოა. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

30.2 სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. ძირითად დასკვნით

გამოცდაზე მიღებული ქულა ჩანაცვლდება დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულით, ამ უკანასკნელზე გასვლის შემთხვევაში.

30.3 დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტის შეფასებად განისაზღვრება F.

30.4 დამატებითი გამოცდის დღეს ნიშნავს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და აღნიშნულის თაობაზე აცნობებს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლების მქონე ყველა სტუდენტს.

31. გამოცდის/პერიოდული გამოკითხვის შედეგების გასაჩივრება

31.1 გამოცდების, საჯარო დაცვის, პერიოდული გამოკითხვების შედეგებით (შეფასებით) უკმაყოფილების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია წერილობითი საჩივრით მიმართოს დეკანატს/უცხო ენების ცენტრს/სადოქტორო სკოლას შედეგების გამოცხადებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივარი მიიღება უნივერსიტეტის კანცელარიაში.

31.2 ნაშრომის გასაცნობად სტუდენტმა იგივე წესით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. სტუდენტს შეუძლია გაეცნოს ნაშრომს განცხადების წარდგენის შემდეგი სამუშაო დღის 12:00 საათის შემდეგ, სამუშაო დღის დასრულებამდე. სტუდენტს შეუფერხებლად მიეცემა ნაშრომის დედანში გაცნობის უფლება.

31.3 სტუდენტმა უნდა მიუთითოს გამოცდის კონკრეტულად რა ნაწილს/კომპონენტს ასაჩივრებს, საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. ზოგადი საჩივარი არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვებაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

31.4 საჩივრის წარდგენიდან ორი დღის ვადაში მას განიხილავს ფაკულტეტის დეკანი/უცხო ენების ცენტრის მენეჯერი/სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი:

31.4.1 თუ შეცდომა მდგომარეობს საგამოცდო ნაშრომის ცალკეული კომპონენტების შეფასებათა დაჯამებაში, საჭირო არ არის სასწავლო კურსის განმახორციელებლის ან/და სხვა შემფასებლების მოწვევა. ასეთ შემთხვევაში შეფასება დაკორექტირდება.

31.4.2 თუ საჩივარი დასაბუთებულია და არ იკვეთება წინამდებარე მუხლის 30.4.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, ნაშრომი/ზეპირი გამოსვლა განმეორებით შეფასდება დეკანის/უცხო ენების ცენტრის მენეჯერის/სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელის მიერ შექმნილი დარგის ექსპერტთა კომისიის მიერ. ასეთ შემთხვევაში კომისია იკრიბება და საკითხს განიხილავს დაუყოვნებლივ. სასწავლო კურსის განმახორციელებელი არ მონაწილეობს განმეორებით შეფასებაში, ის შეიძლება განხილვაზე მოწვეული იყოს საკუთარი პოზიციის დასაბუთების მიზნით.

31.4.3 წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ჩაითვლება, რომ სტუდენტის პრეტენზია ცალსახად საფუძვლიანია, შეფასება დაკორექტირდება. შეფასების დაკორექტირების თაობაზე დგება ოქმი, რომლის საფუძველზეც

შესაბამის ცვლილებას სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ასახავს სტუდენტთა ელექტრონულ ბაზაში.

32. საგნის განმეორებით/დამატებით გავლის პროცესი

სალექციო კურსის განმეორებით გავლის ან დამატებითი კრედიტების დარეგისტრირების შემთხვევაში სტუდენტის მიერ ხდება კრედიტის შესაბამისად ფინანსური ვალდებულებების შესრულება.

33. აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი - GPA

33.1 უნივერსიტეტის სტუდენტთა საშუალო ნიშნის (ე. წ. GPA-ს) დასაანგარიშებლად ხდება სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების შესაბამისობის დადგენა GPA-სთან ცხრილში წარმოდგენილი პრინციპით:

შეფასების 100 ქულიანი სისტემის შემთხვევაში: შეფასება	ქულობრივი მაჩვენებელი	GPA
A	91-100	4.0
B	81-90	3.0
C	71-80	2.0
D	61-70	1.0
E	51-60	0.5
F-FX	0-50	0.0

33.2 კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ნიშნის (GPA) დაანგარიშების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში სწავლების შესაბამის საფეხურზე მიღებული ყველა დადებითი შეფასება.

33.3 კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ნიშნის (GPA) დაანგარიშება ხდება დიპლომის დანართში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შემდეგი წესის მიხედვით: სტუდენტის მიერ თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასების საშუალო ქულა (GPA) მრავლდება ამ კურსის კრედიტების რაოდენობაზე. მიღებულ ნამრავლთა ჯამი იყოფა ყველა სასწავლო კურსის კრედიტების საერთო რაოდენობაზე. მიღებული სიდიდე მრგვალდება ასეულებამდე და არის დიპლომის საშუალო ქულა (GPA).

33.4 თუ კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ქულა (GPA) არის არანაკლებ 3.5, მასზე გაიცემა წარჩინების დიპლომი, ხოლო სხვა შემთხვევაში — ჩვეულებრივი დიპლომი (აღნიშნული წესი არ ვრცელდება დოქტორანტურის საფეხურზე). დოქტორანტურის საფეხურის კურსდამთავრებულთათვის განსაზღვრულია დიპლომის მხოლოდ ერთი ფორმა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი კურსდამთავრებული დოქტორის საშუალო ქულა (GPA) არის არანაკლებ 3.5, დიპლომის დანართში კეთდება აღნიშნა: *Summa cum laude.*

33.5 დიპლომის განუყოფელი ნაწილია დიპლომის დანართი, რომელშიც აისახება ყველა ჩაბარებული სასწავლო კურსი შესაბამისი სახელწოდებების, კრედიტების რაოდენობებისა და მიღებული შეფასებების მითითებით, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია.

თავი VII. საწარმოო პრაქტიკა, საბაკალავრო /სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომის/პროექტის დაცვა და შეფასება

34. საწარმოო პრაქტიკა

34.1 საწარმოო პრაქტიკა შესაბამისი სასწავლო პროგრამის ნაწილია (თუ ის გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით), რომელსაც სტუდენტი გაივლის საწარმოო პრაქტიკის სპეციფიკისა და სტუდენტის მიერ არჩეული პროფილის გათვალისწინებით პროგრამით გათვალისწინებულ დროს. პრაქტიკის წინაპირობები, მიზნები და შედეგები, შეფასების სისტემა და სწავლის მეთოდები, პრაქტიკის განხორციელების მარეგულირებელი პრინციპები, პროცედურები, პრაქტიკის დღიურის წარმოებასთან და პრაქტიკის ანგარიშის შევსების წესებთან დაკავშირებული და სხვა ინფორმაცია ასახულია პრაქტიკის პროგრამაში (სილაბუსში).

34.2 პრაქტიკის საბოლოო შეფასება განისაზღვრება პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვამდე და პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვაზე მიღებული შეფასების ჯამით.

34.3 საჯარო დაცვების პერიოდის დაწყებამდე დგება საჯარო დაცვების ცხრილი თარიღებისა და დროის მითითებით. დამატებითი საჯარო დაცვის თარიღების განსაზღვრა ხდება შემდეგი პირობის გათვალისწინებით: შუალედი საჯარო დაცვის შედეგების გამოცხადებიდან შესაბამის დამატებით საჯარო დაცვას შორის უნდა იყოს არანაკლებ 5 დღე.

34.4 პრაქტიკის ანგარიშების საჯარო დაცვის მიზნით ფაკულტეტ(ებ)ზე იქმნება კომისიები ერთი ან რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამისათვის (სპეციფიკის გათვალისწინებით). კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის შესაბამისი დარგის სპეციალისტები - აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან და დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის ან პროფესიული გამოცდილების მქონე მოწვეული სპეციალისტები. კომისიის წევრად შეიძლება იყოს მოწვეული შესაბამისი კომპეტენციების მქონე დარგის სპეციალისტ(ებ)ი. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისგან. მათ ვინაობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს შესაბამისი ფაკულტეტი.

34.5 პრაქტიკის ანგარიშის დაცვას ესწრება პრაქტიკის ხელმძღვანელი, შესაძლებელია პრაქტიკაზე მიმღები დაწესებულებებიდან მენტორის მოწვევა. მენტორს შეუძლია მოითხოვოს პრაქტიკის საჯარო დაცვაზე დასწრება.

34.6 საჯარო დაცვა წარიმართება ღიად და საჯაროდ. საჯარო დაცვის კომისიის ერთ სხდომაზე ტარდება როგორც წესი რამდენიმე ანგარიშის დაცვა სხდომისთვის განსაზღვრული დროის და თითოეული ანგარიშის დაცვის რეგლამენტის გათვალისწინებით. საჯარო დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს მის მიერ

მომზადებულ პრაქტიკის ანგარიშს, პასუხობს კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე, ასაბუთებს თავის მოსაზრებებს, მსჯელობს პრაქტიკის დროს შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებულ ასპექტებზე, რის შემდეგ პრაქტიკის ხელმძღვანელი აცნობს კომისიას მენტორის დახასიათებას (არსებობის შემთხვევაში) და თავის დასკვნას (მითითებული შეფასების ქულების გარეშე).

34.7 კომისია აფასებს როგორც პრაქტიკის ანგარიშს, ისე სტუდენტის ანგარიშის პრეზენტაციის უნარს და მის მიერ წარმოჩენილ კომპეტენციებს (საჯარო დაცვის საბოლოო შეფასებაა კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკული).

34.8 პრაქტიკის დაცვის კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის 2/3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. საჯარო დაცვაზე მიღებული შეფასებები უნდა იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის.

35. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი

35.1 საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი (თუ ის გათვალისწინებულია პროგრამით) არის პროგრამის სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი, რომელიც განისაზღვრება სილაბუსით. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი შეიძლება იყოს თეორიული (ან ექსპერიმენტული) სამუშაო. საბაკალავრო ნაშრომით/პროექტით მოწმდება სტუდენტის მიერ საბაკალავრო პროგრამის შესწავლით მიღწეული კომპეტენციები.

35.2 რეცენზენტის საჭიროება განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის გადაწყვეტილებით.

35.3 საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგობრივი მიმართულების სპეციალისტი, არანაკლებ დარგში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მფლობელი, რომელსაც უმტკიცდება კვლევითი გამოცდილება შესაბამის სფეროში.

35.4 საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია გაუწიოს სტუდენტს კონსულტაციები, დაეხმაროს მას მუშაობის პროცესში, შეაფასოს მისი მიღწევები, ნაშრომის/პროექტის დასრულების შემდეგ მოამზადოს დასკვნა და სხვა.

35.5 იმ შემთხვევაში თუ დაინიშნება რეცენზენტი, იგი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი. იგი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან, დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის ან/და

35.6 შესაბამისი კომპეტენციის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

35.7 სტუდენტის საქმიანობაში მოიაზრება: დამოუკიდებელი მეცადინეობა, საბაკალავრო ნაშრომზე/პროექტზე მუშაობა და ნაშრომის/პროექტის მომზადება, ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელთან საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის მომზადებასთან დაკავშირებული მუშაობა, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის საჯარო დაცვისთვის სტუდენტის მომზადება, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის საჯარო დაცვა და სხვა.

35.8 საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის საბოლოო შეფასება არის ორი შემადგენელი ელემენტის - საჯარო დაცვამდე მიღებული შეფასებებისა და საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვაზე მიღებული შეფასების ჯამი.

35.9 საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის მიზნით იქმნება სპეციალური კომისია, რომლის წევრები შეიძლება იყვნენ პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის შესაბამისი დარგის სპეციალისტების - აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან და დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე ან პროფესიული გამოცდილების მქონე მოწვეული სპეციალისტები. კომისიის წევრად შეიძლება იყოს მოწვეული შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტი, სპეციალისტთა შემადგენლობას და ვინაობას განსაზღვრავს შესაბამისი ფაკულტეტი.

35.10 საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვას ესწრება ხელმძღვანელი და რეცენზენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

35.11 საჯარო დაცვა გაიმართება ღიად და საჯაროდ, დაუშვებელია დაცვის დახურულ სხდომაზე ჩატარება.

35.12 საჯარო დაცვაზე პრეზენტაციის წარდგენა უნდა მოხდეს ფაკულტეტის მიერ დადგენილი რეგლამენტის დაცვით.

35.13 საჯარო დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს მის მიერ შესრულებულ ნაშრომს, პასუხობს კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე, ასაბუთებს თავის მოსაზრებებს, მსჯელობს ნაშრომის თემასთან და შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებულ ასპექტებზე.

35.14 საჯარო დაცვაზე მიღებული შეფასებები უნდა იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის.

35.15 კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის 2/3. მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება საოქმო წესით. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

36. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი

36.1 სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი არის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი. სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს უნდა ახასიათებდეს სიახლე და წვლილი შეჰქონდეს შესაბამისი დარგის განვითარებაში.

36.2 სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი წარმოდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის „სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესსა“ და „სამაგისტრო პროექტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესში“.

37. სადისერტაციო ნაშრომი

37.1 სადისერტაციო ნაშრომი არის დოქტორანტურის სავალდებულო სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტი. სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენითა და დაცვით (პრეზენტაცია, სამეცნიერო დისკუსია).

37.2 სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით.

38. პლაგიატი

38.1 პლაგიატი გულისხმობს სხვის მიერ გამოყენებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, მათ

შორის გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი/მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი/თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების, აუდიო მასალის და სხვა), როგორც საკუთრის წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე.

38.2 უნივერსიტეტში პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია „პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების წესით“.

39. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) გაცემა

39.1 საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, მიიღო პროგრამისათვის სავალდებულო კრედიტების რაოდენობა და მიაღწია საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილ შედეგებს. საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს მიენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს მიენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

39.2 საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის დასრულების შემდეგ, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური აწვდის ინფორმაციას ფაკულტეტებს სტუდენტების მიერ შესაბამისი კრედიტების დაგროვების თაობაზე. შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ ფაკულტეტი შეისწავლის საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების საკითხს, რის შემდეგაც ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული კვალიფიკაციების მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

39.3 ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმში აისახება მიღებული გადაწყვეტილება - 1) კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, პროგრამის კურსდამთავრებულთა სახელების და გვარების და მათთვის მინიჭებული კვალიფიკაციისა და დიპლომის ხარისხის მითითებით (წარჩინების შემთხვევაში შესაბამისი მითითებით); 2) კვალიფიკაციაზე უარის თქმის შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, პროგრამის სტუდენტების სახელების და გვარების და კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლის მითითებით).

39.4 დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით.

39.5 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებულს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

39.6 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტის მიერ საბუთების გატანისა და დიპლომის გაცემის წინაპირობაა შემოვლის ფურცლის შევსება, რომელიც გულისხმობს ბიბლიოთეკის, საფინანსო სამსახურისა და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის მიერ იმის დადასტურებას, რომ სტუდენტს უნივერსიტეტის წინაშე რაიმე სახის შეუსრულებელი ვალდებულება არ გააჩნია.

40. დასკვნითი დებულებები

40.1 წინამდებარე დებულების დამტკიცების შესახებ უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოიცემა შესაბამისი ბრძანება. დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

40.2 წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება უნივერსიტეტში წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“.

40.3 უნივერსიტეტის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ან/და სხვა პირები, რომლებიც უძღვებიან, ახორციელებენ, მონაწილეობენ ან უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის წარმართვას და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, ვალდებულნი არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას და შეასრულონ მისი მოთხოვნები. ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ წინამდებარე დებულების გაცნობის შესაძლებლობა.

40.4 წინამდებარე დებულების მუხლებს წამძღვარებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად.

40.5 წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ბათილად/ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე.

40.6 ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტებით.

40.7 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით, აღნიშნულ დებულებებში წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება დოქტორანტურის დებულებას.

41. გარდამავალი დებულებები

40.1 იმ სტუდენტებს, რომელთაც ამ დებულების 21-ე მუხლის 21.3 პუნქტის ძალაში შესვლამდე უკვე აქვთ მიღწეული ერთი და იგივე სასწავლო კურსის გავლის დადგენილი ლიმიტისთვის ან აჭარბებენ მას (ბაკალავრიატის საფეხურზე – 4-ჯერ ან მეტჯერ, ხოლო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე – 2-ჯერ ან მეტჯერ), მიეცემათ აღნიშნულ სასწავლო კურსზე ხელახლა რეგისტრაციისა და მისი დაძლევის მხოლოდ ერთჯერადი (დამატებითი ერთი) შანსი.

40.2 ამ მუხლის 40.1 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ერთი შანსის ფარგლებში სასწავლო კურსის კვლავ ვერდაძლევის (კრედიტის ვერ მიღების) შემთხვევაში, სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი უნივერსიტეტის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.